## 2025 წლის ანგარიში

სსიპ კოლეჯში „ფაზისი“ (შემდგომში „კოლეჯი“) (ლოკაცია - ქალაქი ფოთი, ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი ნოჯიხევი), 2025 წლის საანგარიშო პერიოდში ფუნქციონირებდა სხვადასხვა მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, ასევე, მოკლევადიანი გადამზადების/მომზადების პროგრამის ფარგლებში ჯგუფები.

მიმდინარე წლის სააგნარიშო პერიოდში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა შერჩევის მიზნით შესარჩევმა კომისიებმა, მოტივაციური გასაუბრებისა და შემოქმედებითი ტურის ფორმით, განახორციელეს აპლიკანტთა შეფასება ობიექტურად, გამჭვირვალედ და მიუკერძოებლად.

მიმდინარე ეტაპზე, პროფესიული სტუდენტები ჩაირიცხნენ შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე:

- ბუღალტრული აღრიცხვა - ფოთი;
- სკოლამდელი აღზრდა - ფოთი/ხობი, სოფელი ნოჯიხევი;
- ელექტროობა - ფოთი/ხობი, სოფელი ნოჯიხევი;
- შედუღება - ფოთი;
- მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება - ფოთი;
- ამწე და მსგავსი მანქანების ოპერირება - ფოთი;
- ამწის ოპერირება - ფოთი;
- ხის მხატვრული დამუშავება - ფოთი;
- ფლორისტიკა - ფოთი;
- ინფორმაციის ტექნოლოგია - ფოთი;
- შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები - ფოთი;
- თმის მომსახურება - ფოთი/ხობი;
- აგრომექანიზაცია - ხობი, სოფელი ნოჯიხევი;
- ფერმერი მემცენარე - ხობი, სოფელი ნოჯიხევი.

სსიპ კოლეჯი "ფაზისი"
LEPL College " PHAZISI "

მიმდინარე წლის მიღებაზე (საგაზაფხულო) სულ ჩაირიცხა 122 (ას ოცდაორი) პროფესიული სტუდენტი, აქედან, 41 (ორმოცდაერთი) ქალი და 81 (ოთხმოცდაერთი) მამაკაცი, ხოლო საშემოდგომო მიღებაზე ჩაირიცხა 100 (ასი) პროფესიული სტდენტი, აქედან 40 (ორმოცი) ქალი და 60 (სამოცი) მამაკაცი.

ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში“ ფაგრლებში, ჯგუფის №565 პროფესიულმა სტუდენტებმა და პროფესიული განათლების მასწავლებელმა ნათელა ლაშხიამ, კოლეჯის სივრცეში, მოაწყვეს ბოლო ზარის საზეიმო საღამო.

კოლეჯის დირექტორმა ქალბატონმა ნინო ბაკურაძემ მათ მადლობა გადაუხადა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

ფოტო

## ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სახელოსნოების მშენებლობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - ,,ამწის ოპერირება", ,,ელექტროობა" და ,,კონდიტერი" ფარგლებში, დასრულდა სასწავლო სახელოსნოების მშენებლობა. შეძენილ იქნა პროგრამის ,,ელექტროობა“ ფარგლებში გარკვეული სახის სასწავლო ინვენტარი. მიმდინარე ეტაპზე, ხსენებული პროგრამის ფარგლებში შექმნილი ჯგუფი სწავლებას განაგრძობს ახლად აშენებულ სასწავლო სახელოსნოში.

პროგრამების - ,,ამწის ოპერირება" და ,,კონდიტერი" ფარგლებში მიმდინარეობს შესაბამისი მატერიალური რესურსის შესყიდვის პროცესი.

ასევე, დასრულდა კოლეჯის ტერიტორიაზე დამხმარე შენობის სამშენებლო სამუშაოები.

## კოლეჯის პარტნიორები

პერიოდულად ხორციელდება მოდულური, ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, ახალი პარტნიორი ორგანიზაციების მოძიება, ხოლო, არსებულ პარტნიორებთან ეწყობა რეგულარული შეხვედრები, როგორც დასწრებითი ფორმით, ასევე ონლაინ.

UNDP - რეგიონალური მდგრადი განვითარების პროექტის ფარგლებში, განხორციელდა ეკოინიციატივა ,,ელექტრო ნარჩენების და ბატარეების შეგროვების სისტემის მოწყობა ფოთისა და ხობის მუნიციპალიტეტში“, რომლის ფარგლებში კოლეჯს საჩუქრად გადასცეს სპეციალური შეგროვების ყუთი.

ფოტო

## პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება კომპეტენციებზე დაფუძნებულ სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიაში

კოლეჯი ორიენტირებულია კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის კუთხით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ამ მიზნით, კოლეჯი მუდმივად აწვდის ინფორმაციას და რთავს პროფესიული განათლების მასწავლებლებს ტრენინგებსა და შეხვედრებში.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის საანგარიშო პერიოდში, პროფესიული განათლების მასწავლებლებს უტარდებოდათ შესაბამისი ტრენინგები.

ჩვენი კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ პროფესიული განათლების მასწავლებელმა მერი რიჟამაძემ გაიმარჯვა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში!

გამარჯვების შედეგად, მერი მიმდინარე წლის ნოემბერში საერთაშორისო სასწავლო ვიზიტით გაემგზავრება თურქეთში, ქალაქ სტამბულში.

ვულოცავთ მერის ამ შესანიშნავ მიღწევას, ვამაყობთ მისით და ვუსურვებთ ნაყოფიერ გამოცდილებასა და ახალ წარმატებებს!

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის" ორგანიზებით, 10-11 ოქტომბერს სასტუმრო „ახალციხე ინნ"-ში გაიმართა რეგიონული ფორუმი, რომელიც ეძღვნებოდა აგრარული ცოდნისა და ინოვაციების სისტემის განვითარებას.

ფორუმში მონაწილეობდა კოლეჯი „ფაბიხი" , წარმოდგენილნი იყვნენ – სასწავლო პროცესების მხარდაჭერის სპეციალისტი ნინო თოფურიძე, პროფესიული განათლების მასწავლებლები გიორგი ხარგელია და ლაშა სიგუა.

ღონისძიების ფარგლებში, გიორგი ხარგელიამ წარმოადგინა საინტერესო პრეზენტაცია თემაზე „ინოვაციური მიდგომები პროფესიულ განათლებაში აგრარული დარგის განვითარების მხარდამჭერად", სადაც ისაუბრა კოლეჯის გამოცდილებასა და თანამედროვე პრაქტიკებზე, რომლებიც აერთიანებს თეორიასა და პრაქტიკას აგრარული პროფესიის სწავლების მიმართულებით.

ფორუმმა შესაძლებლობა მისცა მონაწილეებს გაეცნიერებინათ გამოცდილება, დაემყარებინათ ახალი პროფესიული ურთიერთობები და განეხილათ ინოვაციური გზები სოფლის მეურნეობისა და განათლების სისტემების თანამშრომლობის გასაძლიერებლად.

ჩვენი კოლეგის პროფესიული განათლების მასწავლებელმა გივი ღლონიამ მონაწილეობა მიიღო პროფესიული განათლების მასწავლებელთა მეორე საერთაშორისო კონფერენციაში – „გლობალური პორიზონტები პროფესიულ განათლებაში. შეშფოთებითობა, თემი და ინტერნაციონალიზაცია" ,სადაც წარმოადგინა მოხსენება თემაზე: „პრაქტიკული პროექტი – სწავლების თანამედროვე მეთოდი პროფესიულ განათლებაში".

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, მასწავლებლები და ექსპერტები, რომლებმაც ინოვაციური პრაქტიკები, საერთაშორისო გამოცდილება და პროფესიული განათლების განვითარების თანამედროვე ხედვები განიხილეს.

ეამაყობთ ჩვენი გუნდის პროფესიონალებით და მათ შორის შეტანილი წვლილით პროფესიული განათლების განვითარებაში!

## არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება/განახლება

საჭიროების შესაბამისად, პერიოდულად, ხორციელდება კოლეჯში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება და განახლება.

პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა, პროგრამის შესაბამისი მოდულის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, მიმართონ წერილობით კოლეჯის ადმინისტრაციას, შესაბამისი პროდუქციის შეძენის მიზნით.

## თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე ურთიერთდასწრება

კოლეჯში, პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოცდილების გაზიარების მიზნით, პერიოდულად ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებელთა შეხვედრები და ურთიერთ დასწრებები სასწავლო პროცესზე.

სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული გადამზადების/პროფესიული მომზადების თეორიულ თუ პრაქტიკულ მეცადინეობებს ესწრებიან კოლეჯის დირექტორის მოადგილე და სასწავლო მიმართულებით კოლეჯის თანამშრომლები, რომლებიც გასცემენ რეკომენდაციებს, საჭიროებისამებრ.

## შიდა ვერიფიკაცია

ვერიფიკაცია კოლეჯში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილი მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმია (შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი). კოლეჯი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით:

- შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;
- პროცესის ვერიფიკაცია;
- მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

სსიპ კოლეჯი "ფაზისი"
LEPL College " PHAZISI "

ვერიფიკაციის განხორციელების მიზნით, კოლეჯში, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე შეიქმნა ვერიფიკაციის ჯგუფი.

## კოლეჯის დასაქმებულ კურსდამთავრებულთა მოწვევა

კოლეჯს ბევრი წარმატებული კურსდამთავრებული ჰყავს სხვადასხვა მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში.

კოლეჯის წარმატებული და უკვე დასაქმებული კურსდამთავრებულები პერიოდულად სტუმრობენ კოლეჯის მოქმედ პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს და მათ უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას.

## ფოტო







## სსსმ და შშმ პირთა მოზიდვა

კოლეჯი ორიენტირებულია საუკეთესო პროფესიული განათლებისთვის. ის უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურებას, შესაბამისად, უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს ხელმისაწვდომობას დაინტერესებული მხარისთვის.

სსიპ კოლეჯი “ფაზისი”
LEPL College “ PHAZISI ”

## პროგრამათა რეკლამები

სხვადასხვა მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის, ასევე პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზდების პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით, კოლეჯი ინტენსიურად აორგანიზებს რეკლამების/ვიდეორგოლების განთავსებას სოციალურ მედიაში.

ფოტო







## 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობდა კოლეჯი, როგორც ქალაქ ზუგდიდში, ასევე, ქალაქ ფოთში.

ფოტო

26 მაისის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, გაიმართა ქალაქის საგანმანათლებლო დაწესებულებების წარჩინებულ კურსდამთავრებულთა საზეიმო დაჯილდოების ცერემონიალი.

წელს დაჯილდოვდა ჩვენი კოლეჯის ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,თევზის გადამუშავება“ პროფესიული სტუდენტი ლუკა წულეისკირი, რომელსაც გადაეცა წამახალისებელი ჯილდო.

ფოტო

## პროფესიული სტუდენტების ჩართულობა

კოლეჯის პროფესიული სტუდენტები მუდმივად ერთვებიან სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო თუ კულტურულ ღონისძიებებში.

პროექტის ,,მწვანე მომავალი, უფლებები და სტაბილურობა“ ფარგლებში, კოლეჯმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ეკომეგობრულ ქტივობებში.

### ფოტო

phazisi.edu.ge/სსიპ-კოლეჯმა-ფაზისი-მონა-2/

12-13 ივნისს ხობსა და ფოთში, ჩვენმა კოლეჯმა მიიღო მონაწილეობა ეკომეგობრულ ფესტივალში, რომელიც ენერგიით, მუსიკითა და სახალისო აქტივობებით გამოირჩეოდა.

პროექტი განხორციელდა ასოციაცია "ვეისთლესის", გაეროს განვითარების პროგრამის UNDP Georgia-სა და დანიის მთავრობის Embassy of Denmark in Georgia მხარდაჭერით, პროექტის – „მწვანე მომავალი, უფლებები და სტაბილურობა“ ფარგლებში.

ლეჯი "ფაზისი"
ollege " PHAZISI "

კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სამკერვალო წარმოება“ პროფესიულმა სტუდენტებმა და პროფესიული განათლების მასწავლებლებმა მონაწილეობა მიიღეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურსში.

ჩვენი კოლეჯის ამ ღონისძიებაზე წარდგენილი კოლექციის კონცეფცია იყო ,,კოლხური მოტივები“.

ფოტო

ჩვენმა კოლეჯმა ღირსეულად წარადგინა საკუთარი კოლექცია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მოდის კონკურსის ღონისძიებაზე.

კოლექციის კონცეფცია — „კოლხური მოტივები“

ინსპირაციის წყარო გახდა ქალაქი ფოთი და კოლხეთის უნიკალური კულტურული თუ ბუნებრივი მემკვიდრეობა. კოლექციის მიზანი იყო ამ სიმდიდრის თანამედროვე მოდის ენით გადმოცემა — ფოთის წარსულის, აწმყოსა და სულიერი სამყაროს ერთიანი კონცეფციით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,,ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში“ და ,,თევზის გადამუშავება“ პროფესიულმა სტუდენტებმა და პროფესიული განათლების მასწავლებლებმა, აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკვლევი ცენტრის მიერ განხორციელებული კობრის ახალი ჰიბრიდული ჯიშის ,,ფარიონი“ ბონიტირებისა და ექსტერიერული მონაცემების შეფასების პროცესში.

ფოტო

ფოტო

კოლეჯი “ფაზისი”
College “ PHAZISI ”

ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საოფისე საქმე“ პროფესიული განათლების მასწავლებელმა გივი ღვანიამ, დედაენის დღესთან დაკავშირებით, გამართა საინტერესო პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ კოლეჯის პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

ფოტო

📖 დღეს, 14 აპრილს, დედაენის დღესთან დაკავშირებით, ჩვენს კოლეჯში პროფესიული განათლების მასწავლებელმა ბატონმა გივი ღვანიამ წარადგინა შთამბეჭდავი პრეზენტაცია თემაზე „ქართული ენის ქარტეხილები“.

📖 ბატონმა გივიმ ისაუბრა ქართული ენის ისტორიაზე ფესვებიდან დღემდე, ჩვენი ენის უნიკალურ წარმოშობაზე, სამეცნიერო თეორიებზე, რომლებიც ადასტურებს მის განსაკუთრებულობას, და იმ გზაზე, რაც ქართულმა ენამ მრავალძალოვან ისტორიულ წნეხსა და შემოსევებში ღირსეულად გაიარა.

📖 პრეზენტაციის დასასრულს კი ყურადღება გამახვილდა დღევანდელ გამოწვევებზე – როგორ გავუფრთხილდეთ ჩვენს ენას თანამედროვე სამყაროში.

კოლეჯში ჩატარდა მნიშვნელოვანი და საინტერესო ტრენინგი ,,მზის ელექტროსადგურების პროექტირება“, მონტაჟი და ექსპლუატაცია“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა კოლეჯის წარმომადგენლებმა, საერთო ჯამში, გადამზადდა 21 მსმენელი და მათ გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

ფოტო

გერმანელი პარტნიორების ხელშეწყობით, პროგრამის ,,ხის მხატვრული დამუშავება“ პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის ჩატარდა ტრენინგი ,,სტანდარტიზებული პროდუქციის წარმოება/სამონტაჟო ვარიანტები კედლისა და იატაკის კონსტრუქციები ინტერიერის მშენებლობაში“.

ფოტო

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაჯილდოვდნენ კოლეჯის ინტეგრირებული მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტები და მათ გადაეცათ აგროსტიპენდიის პროგრამის ფარგლებში სიგელები და ფულადი ჯილდოები.

ფოტო

სსიპ კოლეჯი "ფაზისი"

LEPL College " PHAZISI "

WorldSkills-ის ეროვნული კონკურსი.

22/12/2025

გაცნობებთ, რომ სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ დაიწყო განაცხადების მიღება „პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში.

15/12/2025

WorldSkills - საქართველოს ეროვნული კონკურსი 2025 ავტომობილის ტექნოლოგიის მიმართულებით.

08/12/2025

WorldSkills საქართველოს ეროვნული კონკურსი 2025 - მოდის ტექნოლოგიები.

07/12/2025

კოლეჯში რიგით მესამე სასწავლო-მეთოდური კონფერენცია ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ პროფესიული სტუდენტების აქტიური ჩართულობით.

მონაწილე სტუდენტებმა კონფერენციის ფარგლებში წარმოადგინეს მათ მიერ მომზადებული პრეზენტაციები, გააზიარეს პრაქტიკული გამოცდილება და თანამედროვე მიდგომები სკოლამდელი აღზრდის მიმართულებით.

ღონისძიების დასასრულს კოლეჯის დირექტორმა ნინო ბაკურაძემ სტუდენტებს აქტიური ჩართულობისთვის სიგელები გადასცა და მადლობა გადაუხადა როგორც მათი შრომისთვის, ასევე პროგრამის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.

მსგავსი შეხვედრები ხელს უწყობს სტუდენტების პროფესიულ ზრდას, მოტივაციას და მომავალ საქმიანობაში თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოებას.

ჩვენი კოლეჯის ხობის, სოფელი ნოჯიხევის ლოკაციაზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "სკოლამდელი აღზრდა" პროფესიული განათლებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივით, პრაქტიკული მოდულის ფარგლებში ჩატარდა შემოქმედებითი „შემოდგომის ღონისძიება".

სტუდენტებმა წარმოადგინეს შემოდგომის თემატიკის აქტივობები, სასწავლო-საგანმანათლებლო თამაშები და მცირე წარმოდგენები, რომლებიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პროფესიული განათლების მნიშვნელობას და მომავალ პედაგოგთა პრაქტიკული უნარების განვითარებას.

ღონისძიებამ შემოქმედებითი და მეგობრული გარემო შექმნა — მადლობა ყველა მონაწილესა და დამსწრეს!

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის გივი მიქანაძის გადაწყვეტილებით, მასწავლებლის ეროვნული პრემიის ფარგლებში, ნატარიფეულოს მასშტაბით ადგილობრივი სკოლების პედაგოგთა დაჯილდოება გრძელდება.

ამჯერად, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე თამარ მახარაშვილმა მასწავლებლები ქალაქ ნეგდოიში, ფოთსა და ხუნაკის მუნიციპალიტეტში დააჯილდოვა.

მინისტრის მოადგილემ სიტყვით მიმართვისას პედაგოგებს მრავალწლიანი დაუღალავი შრომისთვის მადლობა გადაუხადა და მათ სერტიფიკატები გადასცა.

ღონისძიებებს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული დავით ვერაია და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

22 ნოემბერს კოლხეთის პარკის ვიზიტორთა ცენტრში გაიმართა განსაკუთრებული ღონისძიება — „სამოქალაქო პიკნიკი კაპარჭინასთვის“, სადაც ჩვენი კოლეჯი აქტიურად იყო ჩართული.

☛ ჩვენი პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტების დახმარებით სტუმრებს მიეცათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ პრაქტიკულ აქტივობებში — გაეკეთებინათ წყლის სინჯები და უკეთ შეეცნოთ კაპარჭინას მნიშვნელობა ეკოსისტემისთვის.

💧 ღონისძიებამ კიდევ ერთხელ გამოკვეთა, რამდენად მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი ცნობიერება და ახალგაზრდების ჩართულობა ბუნების შენარჩუნებაში.

მადლობა ორგანიზატორებს და ყველა მონაწილეს საინტერესო და შემეცნებითი დღისთვის!

სსიპ კოლეჯი “ფაზისი”
LEPL College “ PHAZISI ”

21 ნოემბერს ჩვენმა კოლეჯმა უმასპინძლა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს, თამთა ალანიას.

კოლეჯის ადმინისტრაციას, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროფესიულ სტუდენტებს მიაწოდა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის გივი მიქანაძის ხელმძღვანელობით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორთა საბჭოს სხდომა ქალაქ რუსთავში, კოლეჯ „მოდუსში“ გაიმართა.

შეხვედრაზე მინისტრმა მონაწილეებს უმაღლესი განათლების ფუნდამენტური რეფორმის ძირითადი მიმართულებების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, რომელიც პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ საჯაროდ წარუდგინა საზოგადოებას. როგორც გივი მიქანაძემ აღნიშნა, მნიშვნელოვანია რეფორმის განხორციელების პარალელურად პროფესიული განათლების განვითარებისა და გაძლიერების ხელშეწყობა.

შეხვედრაზე ასევე ყურადღება გამახვილდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: კოლეჯების დაფინანსება ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის და ინსტიტუციური განვითარებისთვის საჭირო რესურსების უზრუნველყოფა.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მათთვის აქტუალურ თემებზე მინისტრისგან მიეღოთ ამომწურავი ინფორმაცია.

სსიპ კოლეჯი "ფაზისი"

LEPL College " PHAZISI "

ამასაც გვინიარებთ, რომ ჩვენი კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი — ანანიერ ხილაგავა — დაჯილდოვდა „წლის საუკეთესო მასწავლებლის" საპატიო ტიტულით!

ანანიერ ხილაგავას მაღალი პროფესიონალიზმი, პრაქტიკული ცოდნის გადაცემის უნარი და სტუდენტებისადმი თბილი დამოკიდებულება ნამდვილად იმსახურებს ამ აღიარებას!

დაჯილდოების ცერემონიას ესწრებოდნენ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი მელა ვაჭარაძე და საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე თამარ მახარაშვილი, რომლებმაც მიულოცეს მნიშვნელოვანი ნაბიჯება.

საშუალებას წარვუდგინეთ პრეზენტაცია ჩვენი პროფესიული პროგრამების შესახებ, რომლებიც სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ და შესაძლებლობას აძლევს მონაწილეებს დაეუფლონ თანამედროვე, მოთხოვნად პროფესიებს.

შეხვედრა ინტერაქტიულ ფორმატში გაიმართა — დამსწრეებმა მიიღეს დეტალური ინფორმაცია სწავლის პირობებზე, პროგრამების შინაარსსა და დახმარების პერსპექტივებზე.

შეხვედრა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა.

## პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებულობა

კოლეჯში პროფესიული სტუდენტებისათვის პერიოდულად იმართება შეხვედრები პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უფლება-მოვალეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, სადაც კოლეჯის დირექტორის მოადგილე და კოლეჯის იურისტი დეტალურად აცნობენ მათ მიმდინარე და გარდამავალი საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებს, რომლებიც უშუალო კავშირშია პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლება-მოვალეობასთან.
ყოველი შეხვედრა შეხვედრა წარიმართება ინტერაქტიულ რეჟიმში.

LEPL College "PHAZISI"

## ვიზიტორები კოლეჯში

კოლეჯს სტუმრობდნენ ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც თანამშრომლობის გაგრძელების მიზნით, კოლეჯთან დებდნენ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს და რომელიც ითვალისწინებს ერთობლივი ღონისძიებების განხორციელებას, კოლეჯის პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ჩართულობით.

## პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელება

კოლეჯში, პროფესიული მომზადების პროგრამათა ფარგლებში, ინტენსიურად ხორციელდება მსმენელთა მომზადება. მოქალაქეთა დაინტერესება დიდია პროფესიული მომზადების პროგრამებთან დაკავშირებით.

## 2025 წლის ერთწლიანი გეგმის მონიტორინგი

განხორციელდა კოლეჯის 2025 წლის ერთწლიანი განვითარების სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და მომზადდა შეფასების შედეგების შესახებ შესაბამისი ინფორმაცია.

## უსაფრთხოების მიმართულება

კოლეჯში, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში ჩატარდა შესაბამისი ინსტრუქტაჟები. აღნიშნულ პროცესში ერთვებიან, როგორც კოლეჯის თანამშრომლები, ასევე, პროფესიული სტუდენტები და მსმენელები.

ფოტო

ფოტო

ფოტო

სსიპ კოლეჯი "ფაზისი"
LEPL College " PHAZISI "

წლის ბოლოს, 25 დეკემბერს კოლეჯში განხორციელდა უმნიშვნელოვანესი ვიზიტი. კოლეჯს სტუმრობდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი გივი მიქანაძე, ფოთის, ხობის და სენაკის დელეგატი გიორგი ხახუბია, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული დავით ვერავა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

ვიზიტის ფარგლებში მინისტრი გაეცნო სასწავლო პროცესს. დაათვალიერა საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა.




პატივისცემით,

სოფიო ტურავა

სსიპ კოლეჯის „ფაზისი“
დირექტორის მოადგილე

სსიპ კოლეჯი “ფაზისი”
LEPL College “ PHAZISI ”